ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6973252

ნომერი: AR11015430

თარიღი : 12.02.2024

გაცემის თარიღი : 10.04.2024

გაცნობის თარიღი : 10.04.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიკა ხიზანიშვილი პ/ნ 01004006038
- სამტრედიის ქ50 ბ.კორპ.ბინა 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 12 თებერვლის №AR11015430 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713087 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2024 წლის 19 თებერვლის №6890568 ბრძანებით, 2024

წლის 03 აპრილის №6965734 და 2024 წლის 05 აპრილის №6968135 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში არ იქნა ხარვეზები გამოსწორებული. კერძოდ, წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ჯამური მაჩვენებელი და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული იგივე ფუნქციის ფართობის მაჩვენებელი ერთმანეთთან შეუსაბამოა. ამასთან, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში არასწორად არის ჩათვლილი ლიფტის შახტების ფართობები. გაითვალისწინეთ, რომ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში არ იანგარიშება ლიფტების შახტების ფართობები. შესაძლებელია, მხოლოდ -2.70 ნიშნულის გეგმაზე არსებული ლიფტის შახტების ფართობების ჩათვლა (სხვა გეგმებზე ლიფტის შახტის ფართობები არ არსებობს (სიცარიელეა), შესაბამისად არც ერთ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელში იანგარიშება). გარდა ამისა, -0.10 და +0.60 ნიშნულის გეგმაზე „ც-ბ“ ღერძებში, „9“ ღერძის გარეთ არსებული ფართები არ წარმოადგენს კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობს (მართალია გეგმაზე აღნიშნული ფართები დატანილი არ არის, მაგრამ ფიქსირდება ექსპლიკაციებში (6.33 კვ.მ.)). შესაბამისად, აღნიშნული ფართობი წაშლილ უნდა იქნას ექსპლიკაციებიდანაც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2024 წლის 12 თებერვლის №AR11015430 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.